საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

საანგარიშო პერიოდში, როგორც სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ვსაქმიანობდი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი წესდებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული აქტების შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და წლის განმავლობაში არსებული ფაქტობრივი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების 2022-2028 წწ. სტრატეგია მოიცავს შვიდ პტიორიტეტულ მიმართულებას:

1. ორგანიზაციული განვითარება;
2. ხარისხის მართვა;
3.სწავლა-სწავლება, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარებას და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლებას;
4.კვლევა და ინოვაცია;
5.ინტერნაციონალიზაცია;
6.სტუდენტური ცხოვრება-სტუდენტებისთვის შემეცნებითი, ჯანსაღი და თავისუფალი სტუდენტური გარემოს შექმნა;
7.სოციალური პასუხისმგებლობა - მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციის იმიჯის განმტკიცება.

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაა მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, კვლევების, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა.

სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გახდეს ქვეყნის წამყვანი უნურვერსიტეტი ინოვაციების მიმართულებით. შესაბამისად, მისთვის უმნიშვნელოვანესია იმ ძირითადი პრინციპების განხორციელება, რომელსაც ევროპის ინოვატორი უნივერსიტეტები ნერგავენ, კერძოდ:

1.სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობა;

2.შედეგებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირებული რესურსების განაწილება, რომელიც კვლევებს დამატებით მოტივაციას და შესაძლებლობებს შეუქმნის, როგორც შიდა, ისე საერთაშორისოდ აღიარებული დონორების მხრიდან დაფინანსებისთვის;

3. მმართველობის დაბალანსებული სტრუქტურის შექმნა, ეს ნიშნავს კვლევით ინსტიტუტებსა და ფაკულტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობასა და შეთანხმებაზე ორიენტირებული კომუნიკაციის კულტურის შექმნას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ინტერდისციპლინურობას/ მულტიდისციპლინურობას და ტრანსდისციპლინურობას, სწრაფი და ეფექტური პანელების შექმნას.

სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2022 წლის

ფინანსური ანგარიში

საბიუჯეტო მაჩვენებლები

2022 წლის ბიუჯეტი შედგენილია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 28-ე მუხლის „ა“ქვეპუნქტის, ასევე უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 05 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის სენატის მიერ დამტკიცებული „ნაერთი ბიუჯეტის შედგენის წესის“ ნორმათა დაცვით. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტი დამტკიცდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს(სენატის) 2021 წლის 30 დეკემბრის N01-06-02/60 დადგენილებით და განისაზღვრა 53 729 760 ლარით, რომელიც მხოლოდ საკუთარ სახსრებსა და 100 000 ლარის მოცულობის საერთაშორისო(მიზნობრივ) გრანტებს მოიცავდა. წლის ბოლოს ნაერთი ბიუჯეტის დაზუსტებულმა მაჩვენებლებმა შეადგინა 66 513 592 ლარი, ანუ ბიუჯეტი გაიზარდა 12 783 832 ლარით, რაც უმეტესად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები თანხებია.

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტი ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს ძირითადი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, ასევე კანონით, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული, ან/და ნებადართული სტრუქტურული ერთეულების მიერ გათვალისწინებული ამოცანებისა და ფუნქციონირებისათვის გამოყენებულ ფულად სახსრებს.

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები ფორმირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით, საერთაშორისო გრანტების

სახსრებითა და კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსულობებით(საკუთარი სახსრები) და გაწერილია გადასახდელების შვიდ პროგრამაში, რომელიც თავის მხრივ დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის ღონისძიებების მიხედვით და ჩაშლილია ძირითად მიმართულებებად, ანუ ქვეპროგრამებად.

2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლები განისაზღვრა 66 513 592 ლარით, საიდანაც ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი საკუთარ სახსრებს უკავია და შეადგენს შემოსავლების 86,8 %-ს. 2022 წლის ბიუჯეტის გეგმიური მაჩვენებლების შედარება გასული წლების მაჩვენებლებზე ასეთ სურათს გვაძლევს:

დასახელება	2022 წელი (ლარი)	2021წელი (ლარი)	2020 წელი (ლარი)	სხვაობა 2021წლის მაჩვენებლ	სხვაობა 2020 წლის მაჩვენებლ
სულ შემოსულობები	**66 513 592**	**61 705 903**	**55 357 529**	**4 807 689**	**11 156 063**
1.საკუთარი სახსრები	57 742 929	54 896 731	48 603 414	2 846 198	9 139 515
2.სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	6 249 243	6 147 498	6 091 141	101 745	158 102
3.საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტები	2 521 420	661 674	662 974	1 859 746	1 858 446

ირკვევა, რომ 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლები გასული წლის დაზუსტებულ მაჩვენებლებს 4 807 689 ლარით აღემატება, ხოლო 2020 წლის მაჩვენებლებს - 11 156 063 ლარით. აღნიშნულ სხვაობებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საკუთარ სახსრებზე მოდის და წლების მიხედვით შესაბამისად 2 846 198 ლარს და 9 139 515 ლარს შეადგენს .

შემოსულობების შესრულების მაჩვენებლები დაფინანსების წყაროების მიხედვით შეადგენს:

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის საკასო შესრულე	გადახრა	შესრულებ ის %
სულ შემოსულობები	**66 513 592**	**65 944 925**	**-568 667**	**99,1**
1.საკუთარი სახსრები	57 742 929	57 488 590	-254 339	99,6
2.სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები დაფინანსება	6 249 243	6 236 814	-12 429	99,8
3.საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტები	2 521 420	2 197 021	-324 399	87,1

გეგმის შესრულების საშუალო მაჩვენებელი 99.1%-ია. შედარებით დაბალი მაჩვენებელი საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტის თანხებზე მოდის, რადგან წლის ბოლოს არ მოხდა გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი თანხის ჩამორიცხვა და შეადგინა 87,1% .

<u>2022 წლის შემოსულობების და გადასახდელების შესრულების ანალიზი</u>

2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებელი 66 513 592 ლარს შეადგენს, სადაც საკუთარი სახსრების წილი 86.8%-ია და განისაზღვრება

57 742 929 ლარით. ნაშთი 01.01.22 წლისათვის ხაზინაში შეადგენდა 5 151 885 ლარს, ს.ს. საქართველოს ბანკში - 5 674 ლარს, სულ - 5 157 559 ლარს, საიდანაც უკან დაბრუნებას დაექვემდებარა 199 453 ლარი და გეგმაში აისახა 5 082 235 ლარი.

მისაღებ შემოსულობებში, ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის სწავლის საფასურზე, რომლის შემოსავლის წყაროა სახელმწიფო სასწავლო გრანტი(ვაუჩერული დაფინანსება), პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება, სტუდენტის მიერ, ან სხვა კანონიერი წყაროებიდან გადახდილი გადასახადი. 2022 წლის გეგმიური მაჩვენებელი დაზუსტდა ხაზინაში მიღებული შემოსავლების შესაბამისად და შეადგინა 44 187 950 ლარი, აქედან სტუდენტის მიერ, ან სხვა კანონიერი წყაროებიდან საანგარიშო წელს გადახდილი სწავლის საფასური შეადგენს 23 871 446 ლარს, ხოლო სასწავლო გრანტის(ვაუჩერული დაფინანსება), პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების თანხა - 20 316 503 ლარს, მათ შორის პროფესიული სწავლების ვაუჩერული დაფინანსება შეადგენს 1 901 660 ლარს. წინა წლებთან შედარებით, 2022 წელს სტუდენტების მიერ, სწავლის საფასურის გადახდის თვალსაზრისით უკეთესი მდგომარეობაა, თუმცა დავალიანება 2022 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2 493 422 ლარს.

საანგარიშო პერიოდისათვს, ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმის შესრულების მაჩვენებლები ასეთ სურათს გვაძლევს:

დასახელება	კოდები	2022 წლის გეგმა	საკასო შესრულება	შესრულ ების %
სულ შემოსულობები		66 513 592	65 944 925	99,1
ნაშთი პერიოდის დასაწყისში		5 082 235	5 151 885	
1.სწავლის საფასური სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების გათვალისწინებით	1.4.2.3.3. 268-273	44 187 950	44 187 950	100,0
2.სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება მ.შ.		**8 852 480**	**8 036 719**	90,8
2.1 საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა	1.3.3.2.1	2 347 833	1 546 751	65,9
2.2 სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 32 05 04)		5 363 643	5 351 214	99,8
2.3 „უმაღლესი განათლებისა და კვლევის ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა“	1.3.3.1.1	145 154	145 154	100,0
2.3. 1„უმაღლესი განათლებისა და კვლევის ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა“		24 750	22 500	90,9
2.4 სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს		885 600	885 600	100,0
2.5 პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა „ამფეთქებელი“	1.3.3.1.1	85 500	85 500	100,0
3.სამეცნიერო - კვლევითი გრანტები მ.შ.		**4 259 299**	**4 508 583**	105,9

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	1.3.3.1.1.2	1 860 319	2 311 562	124,3
საერთაშორისო(მიზნობრივი) გრანტები		2 398 980	2 197 021	91,6
4.კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები		**4 131 628**	**4 059 789**	98,3
4.1.შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან	1.4.2,3,2,1	642 000	570 087	88,8
4.2.შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და თვითდაფინანსების ცენტრებიდან	1.4.2.3.3.238	2 863 765	2 863 768	100,0
4.4. მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	1.4.4.1	625 863	625 934	100,0

გეგმის შესრულების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 99.1%-ს, რაც გადასახდელების გეგმის მაღალი პროცენტით შესრულების წინაპირობაა:

N	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
	სულ გადასახდელები	**66 992 175**	**65 208 972**	**-1 783 203**	**97,3**
1	საკუთარი სახსრები	57 742 929	56 333 258	-1 409 671	97,6
	სუბსიდიები და სხვა ხარჯები	478 583	441 879	-36 704	92,3
	სულ საკუთარი სახსრები	58 221 512	56 775 137	-1 446 375	97,5
2	სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები დაფინანსება	6 249 243	6 236 814	-12 429	99,8
3	საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტები	2 521 420	2 197 021	-324 399	87,1

2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებული მაჩვენებელი განისაზღვრა 66 992 175 ლარით. სხვაობა შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის 478 583 ლარია, რომელიც 100 წლის საიუბილეო ღონისძიებებისათვის მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ასიგნებაა. გადასახდელების გეგმიური და საკასო შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფინანსების წყაროების მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებზე მოდის და შეადგენს 99,8%-ს, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსებას და სახელმწიფო სტიპენდიას.

გადასახდელები გაწერილია პროგრამების მიხედვით და შეადგენს:

1.პროგრამის „უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება“(პროგრამული კოდი 01 01) გეგმა განისაზღვრა 14 101 695 ლარით, მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ასიგნების(478 583 ლარი) გათვალისწინებით, შესრულებამ შეადგინა 13 915 862 ლარი, რაც გეგმის შესრულების 98,7%-ია.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი მთლიანადაა ორიენტირებული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებაზე. ამ პროცესის სრულყოფილად წარმართვა მოიცავს, როგორც დამხმარე პერსონალის ანაზღაურების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვის, ასევე,

კომუნალური და საგადასახდო ვალდებულებების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას. აღსანიშნავია, რომ გაგრძელდა პერსონალთა სამედიცინო დაზღვევა.

2022 წელს უნივერსიტეტს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა, რასაც თან ახლდა მრავალი საინტერესო ღონისძიება, რომელიც დაფინანსებულ იქნა, როგორც საკუთარი სახსრებით, ასევე მთავრობის მხრიდან გამოყოფილი სუბიდიის თანხებით(478 583 ლარი). საიუბილეო ღონისძიებების ციკლი გაიხსნა 16 იანვარს, რომელიც მთელი წლის მანძილზე გაგრძელდა და მოიცავდა მრავალმხრივ საინტერესო შეხვედრებსა და ღონისძიებებს. 100 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო კვირეულის ფარგლებში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და სიმპოზიუმები, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოსა და ევროპის უნივერსიტეტების წარმომადგენლები, აგრეთვე, საპატიო სტუმრები საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებიდან, მათ შორის, ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის (CERN) და იაპონიის მაღალი ენერგიების ამაჩქარებლის კვლევითი ორგანიზაციის (KEK) მეცნიერები.

2. პროგრამის „უმაღლესი განათლება“ (ფაკულტეტები-პროგრამული კოდი 01 02) დაზუსტებული გეგმა, დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით, განისაზღვრა 28 974 006 ლარით, შესრულებამ შეადგინა 28 909 131 ლარი, რაც გეგმის შესრულების 99,8%-ია. პროგრამის განმახორციელებელია 13 ფაკულტეტი, რომელიც მოიცავს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო საფეხურებს და შედგება 170 საგანმანათლებლო პროგრამისაგან. აღნიშნული პროგრამები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსებით. პროგრამის მიზანია მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის გზით უზრუნველყოს სტუდენტების კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბება, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მათი ჩართულობის ხარისხის ამაღლება.

სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ინიციატივითა და მონაწილეობით სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით პერმანენტულად ხორციელდებოდა შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტების განხილვა, წინადადებების დამუშავება და დადგენილებების/ბრძანებების პროექტების მომზადება. ასეთი პროექტები უმრავლეს შემთხვევაში შესაბამის ორგანოში განხილვის შემდეგ დოკუმენტის სტატუსს ღებულობდნენ, რომელიც ეხებოდა:

- სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას;
- სასწავლო პროცესის ჰიბრიდულ რეჟიმში განხორციელებას;
- სასწავლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფას და ორგანიზებას;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების შემუშავება-გადამუშავებას;
- მისაღები კონტინგენტის დაგეგმვას;
- მობილობის(შიდა, გარე) დაგეგმვას და განხორციელებას;
- ყველა სახის გამოცდების ჩატარებას;
- ნაშრომების დაცვას;
- კვალიფიკაციის მინიჭებას;
- სწავლის საფასურის ოდენობას;

- სწავლის საფასურის სახელმწიფო დაფინანსებას;
- სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევას;
- აკადემიური პერსონალის აკადემიურ დატვირთვის ახალ, მოქნილ სქემას, მათი ანაზღაურების გაუმჯობესებას, პროფესიულ განვითარებას;
- აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარებას;
- სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის უზრუნველსაყოფად პროფესორებად, ასოცირებულ პროფესორებად და პედაგოგებად მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევას;
- აბიტურიენტებისათვის STEM საგნებში უფასო მოსამზადებელი ონლაინ კურსების განხორციელებას და სხვა.

საანგარიშო პერიოდისათვის, 2022 წლის ნაერთ ბიუჯეტში, საკუთარი სახსრების ჭრილში(57 742 929 ლარი), ყველაზე დიდი ხვედრითი წილი „უმაღლესი განათლების“ პროგრამაზე მოდის და შეადგენს 50, 3%-ს. პროგრამის შესრულების მაჩვენებელი 98,9%-ია და შეადგენს 28 909 131 ლარს. ვალდებულებები, რომელიც ფაკულტეტების მიხედვით იყო გაწერილი შესრულებულია: დროულად იქნა გაცემული, როგორც შტატით, ასევე შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, რომელთა საკასო მაჩვენებელი 22 916 470 ლარია. ასევე, დიდი ყურადღება ეთმობა საგნობრივი პროგრამების აკრედიტაციის, რეაკრედიტაციის და ანგარიში/მონიტორინგის პროცესს, რისთვისაც გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 212 878 ლარი, კერძოდ:

ინფორმაცია 2022 წელს განხორციელებული საგნობრივი აკრედიტაციის, ანგარიშისა და მონიტორინგის შესახებ						
N	ფაკულტეტი	საფეხური	აკრედიტაცია	ანგარიში	მონიტორინგი	თანხა (ლარი)
1	სამშენებლო	ბაკალავრიატი	2	1		
		მაგისტრატურა				
		დოქტორანტურა		1	1	
	ჯამი		2	2	1	21 005
2	ენერგეტიკა	ბაკალავრიატი	1	1		
		მაგისტრატურა				
		დოქტორანტურა		1	1	
	ჯამი		1	2	1	15 837
3	სამთო-გეოლოგიური	ბაკალავრიატი		2		
		მაგისტრატურა	1	3		
		დოქტორანტურა		5		
	ჯამი		1	10	0	22 919
4	ქიმიური ტექნოლოგია და მეტალურგია	ბაკალავრიატი	1	3	1	
		მაგისტრატურა				
		დოქტორანტურა		2	1	
	ჯამი		1	5	2	32 807
5	სატრანსპორტო სისტემები და მექანიკის ინჟინერია	ბაკალავრიატი	1	2	1	
		მაგისტრატურა				
		დოქტორანტურა				

	ჯამი		1	2	1	16 240
6	არქიტექტურა, ურბანისტიკა და დიზაინი	ბაკალავრიატი		1		
		მაგისტრატურა				
		დოქტორანტურა				
	ჯამი		0	1	0	800
7	ბიზნესტექნოლოგიები	ბაკალავრიატი	1			
		მაგისტრატურა	2	1		
		დოქტორანტურა	1			
	ჯამი		4	1	0	34 321
8	საინჟინრო ეკონომიკა, მედიატექნოლოგიები და სოციალური მეცნიერებები	ბაკალავრიატი	1	2		
		მაგისტრატურა		2		
		დოქტორანტურა	1	1		
	ჯამი		2	5	0	18 083
9	სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები	ბაკალავრიატი		3		
		მაგისტრატურა		2		
		დოქტორანტურა				
	ჯამი		0	5	0	5 805
10	ინფორმატიკის და მართვის სისტემები	ბაკალავრიატი	1	2		
		მაგისტრატურა	1	1		
		დოქტორანტურა		1		
	ჯამი		2	4	0	41 063
12	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგი	ბაკალავრიატი			1	
		მაგისტრატურა		1	1	
		დოქტორანტურა				
	ჯამი		0	1	2	3 998
13	მთის მდგრადი განვითარება	ბაკალავრიატი			2	
	ჯამი		0	0	2	0
	სულ		14	38	9	212 878

სულ, 2022 წელს აკრედიტაცია გაიარა 14 ახალმა პროგრამამ, რეკომენდაციების შესრულების ანგარიში-38 პროგრამამ, ხოლო აკრედიტაციის პირობების შემოწმება-9 პროგრამამ. პროცესი მოიცავს, როგორც პროგრამის მდგრადობის, ასევე ფინანსური მხარდაჭერის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საბიბლიოთეკო ფონდის განახლების მონიტორინგს, რასაც უნივერსიტეტმა, წარმატებით გაართვა თავი.

წლის განმავლობაში ფაკულტეტების მიერ განხორციელდა მრავალი სამუშაო შეხვედრა, კონფერენცია, საჯარო ლექცია და ასევე სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ერთობლივი პროექტები სხვადასხვა უწყებებთან, რომელიც წარმოდგენილია ფაკულტეტების ანგარიშებში.

3. პროგრამის „სტუდენტთა ხელშეწყობა“(პროგრამული კოდი 01 03) გეგმა, დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით, განისაზღვრა 1 235 811 ლარით, საკასო შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 100%-ს. სტუდენტთა ხელშეწყობა გამოიხატება წარჩინებული სტუდენტებისათვის სახელმწიფო, თუ

საფაკულტეტო სტიპენდიებით უზრუნველყოფაში, სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული შეღავათების დაწესებაში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი კურიკულუმს გარე აქტივობების ორგანიზებასა და დაფინანსებაში, მუდმივად ზრუნავენ სპორტისა და კულტურის პოპულარიზაციაზე, სტუდენტებსა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, უზრუნველყოფენ ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენას და მათ მონაწილეობას მსოფლიო და ეროვნულ უნივერსიადებში სტუ-ის სახელით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მხარდაჭერას ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების მოზიდვისა და მათი ეფექტიანად მართვის გზით. პროგრამა ჩაშლილია ქვეპროგრამებად და მოიცავს აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეთა ხელშეწყობას.

ქვეპროგრამა „სტუდენტური სტიპენდიები'' მოიცავს, როგორც სახელმწიფო, ისე საფაკულტეტო სტიპენდიებს და განისაზღვრება 895 500 ლარით, აქედან ფაკულტეტის მიერ გასაცემი სახელობითი სტიპენდია შეადგენს 9 900 ლარს, ხოლო სახელმწიფო სტიპენდია 885 600 ლარს, რომელიც განსაზღვრულია „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის დამტკიცების შესახებ (პროგრამული კოდი 32 04 02 06) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 27 იანვრის N75694 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 15 აპრილის N395720 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2022 წლის 18 ნოემბრის N1477532 ბრძანების საფუძველზე.

ქვეპროგრამა „სტუდენტური პროექტები" დაზუსტდა 36 490 ლარით, შესრულებამ შეადგინა 100 %. ქვეპროგრამა მოიცავს სტუდენტური პროექტებისა და კონკურსების დაფინანსებას. უნდა აღინიშნოს სტუდენტების ახალი ტექნოლოგიებით დაინტერესების და ამ მიმართულებით უნარ - ჩვევების შეძენის მიზნით, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე ჩატარებული სტუდენტური ჰაკათონის, ასევე, თურქეთის რესპუბლიკაში, სტუდენტთა საერთაშორისო კულტურულ - აკადემიური შეხვედრის (ICAMES) შესარჩევ ტურში, ჩვენი სტუდენტების წარმატებული მონაწილეობისა და ცერნის მიერ გამოცხადებულ კონკურსში (Cern Summer Student Program), ჩვენი სტუდენტის გამარჯვების შესახებ. ასევე, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების ცენტრი „ერთად", რომელთაც 2022 წელს განახორციელეს ოთხი სტუდენტური სამეცნიერო პროექტი, მიღებული შედეგები საფუძვლად დაედო სამეცნიერო სტატიებს და მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებზე.

ქვეპროგრამა „კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსება" განისაზღვრა 303 821 ლარით, შესრულებამ შეადგინა 100 %-ი. თანხები მიმართულ იქნა, სპორტულ, კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებებზე, კერძოდ: „თბილისის სტუდენტური ფესტივალი 2022"-ი - უნივერსიტეტმა მოიპოვა გამარჯვებულის ტიტული და თასი, სადაც

მონაწილეობდნენ ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერანი“ და ვაჟთა სახალხო კაპელა. 2022 წლის საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ქვიშის ფრენბურთში უნივერსიტეტეტის გოგონათა და ვაჟთა გუნდებმა მოიპოვეს გამარჯვებულის ტიტული, ხოლო ფრენბურთის ეროვნულ ჩემპიონატში- ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრებმა II საპრიზო ადგილი დაიკავა. კულტურულ ღონისძიებებში აღსანიშნავია სტუ-ს თეატრ-სტუდია „მოდი ნახეს“ მონაწილეობა მალტის საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალში და ქართული ცეკვის ანსამბლის „მერანი“ მონაწილეობა საბერძნეთში. პანდემიის შემდეგ აღდგა ტრადიციული პირველკურსელთა დახვედრის საზეიმო საღამო „მე ვარ სტუდენტი“, შემეცნებითი პროექტი ბაკურიანში-„ზამთრის სკოლა“ და ექსკურსიები საქართველოს სხვადსხვა კუთხეში, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტებისათვის, საქართველოს კუთხეების უკეთ გაცნობის მიზნით.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 57 616 ლარის გადარიცხვა რენეს უნივერსიტეტისათვის, რომელიც აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ორდიპლომიანი პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია" სტუდენტთა ხელშეწყობისათვის იყო გათვალისწინებული.

4. პროგრამა „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 04) დაზუსტდა და დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით შეადგინა 13 356 943 ლარით, ხოლო შესრულებამ - 12 254 663 ლარი, რაც გეგმის შესრულების 91,7%-ია.

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო გრანტის მონაწილენი, უნივერსიტეტის 15 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულები, რომელთა მიზანია მეცნიერული კვლევების განვითარება, საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური კონტაქტები, ერთობლივი კვლევები, მსოფლიოში არსებული თანამედროვე მიღწევების შესწავლა და დანერგვა, ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა; სამეცნიერო საქმიანობის ინტეგრირება სასწავლო პროცესთან. პროგრამა ითვალისწინებს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანთა სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობას, მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვას; მაღალრეიტინგულ ჟურნალებში კვლევების გამოქვეყნებას.

პროგრამა „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:

4.1 ქვეპროგრამა „გრანტები“(კოდი 01 04 01), თავის მხრივ მოიცავს სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებს(კოდი 01 04 01 01)და საერთაშორისო გრანტებს(კოდი 01 04 01 02).

სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები დამტკიცდა 1 450 530 ლარის მოცულობით, ხოლო წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით საკასო ნაშთის ჩათვლით განისაზღვრა 3 119 114 ლარით, რომელიც მოიცავს გამოყენებით, ფუნდამენტურ, ახალგაზრდა მეცნიერთა, საგამომცემლო გრანტებს, მეცნიერების,

ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური მიმართულების(STEM)გრანტებს, კერძოდ:

- გამოყენებითი გრანტების რაოდენობამ შეადგინა 98 ერთეული, მოცულობით-1 527 190 ლარი;
- ფუნდამენტური გრანტების რაოდენობამ შეადგინა 26 გრანტი, მოცულობით-1 291 713 ლარი;
- ახლგაზრდა მეცნიერთა გრანტების რაოდენობამ შეადგინა 10 ერთეული, მოცულობით 136 831 ლარი;
- საგამომცემლო გრანტების რაოდენობამ შეადგინა 5 ერთეული, მოცულობით 27 530 ლარი;
- მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური მიმართულების(STEM)გრანტებმა შეადგინა 4 ერთეული, მოცულობით - 135 850 ლარი.

სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების საკასო შესრულებამ შეადგინა 2 254 018 ლარი, რაც გეგმის შესრულების 72,3%-ია, შედეგი აიხსნება იმით, რომ ვალდებულებების ნაწილი გადავადდა 2023 წლისთვის.

საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტების დაფინანსების მოცულობა დაზუსტდა მოსალოდნელი ჩამოსარიცხი თანხებით და შეადგინა 2 521 420 ლარით, შესრულებამ შეადგინა 2 197 021 ლარი, რაც გეგმის შესრულების 87,1%-ია, შედეგი აიხსნება იმით, რომ არ მოხდა გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი თანხის ჩამორიცხვა. 2022 წელს უნივერსიტეტში განხორციელდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული გრანტები: ERASMUS+; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება „GIZ“-ის მიერ დაფინანსებული გრანტები; ბრიტანეთის საბჭოს საგრანტო პროგრამა-„შემოქმედებითი ნაპერწკალი“; გაეროს გრანტები FAO და UNDP; კვლევების აღმასრულებელი სააგენტოს გრანტი REA; HORIZON EUROPA; ბრიტანეთის საბჭოს „ინგლისური კლუბი“; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტისა და SLOVAKAID საგრანტო პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, საქართველოში მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვას, სტუდენტების მობილობას ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ხელშეწყობას, მასწავლებელთა გადამზადებას. გრანტის ERASMUS+ პროექტის ფარგლებში, ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობდა 42 სტუდენტი, 18 აკადემიური და 25 ადმინისტრაციული პერსონალი.

4.2 ქვეპროგრამა „სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტები“(კოდი 01 04 02), რომელიც აერთიანებს 15 კვლევით ინსტიტუტს და „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (პროგრამული კოდი 32 05 04)საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის

2021 წლის 30 დეკემბრის #1440035 ბრძანების საფუძველზე, სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსება განისაზღვრა 5 160 370 ლარით. წლის განმავლობაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტი გაიზარდა 203 237 ლარით და განისაზღვრა 5 363 643 ლარით, რომელიც რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 30 დეკემბრის #1440035 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 08 აპრილის N369290 ბრძანების, 2022 წლის 22 ივლისის N830432 ბრძანებისა და 2022 წლის 27 დეკემბრის N1664953 ბრძანებებით. გადასახდელების შესრულებამ შეადგინა 5 351 214 ლარი, ანუ 99,8%-ი, რომელიც ინსტიტუტების მიხედვით შეადგენს:

N	დასახელება	2022 წლის დაზუსტებული გეგმა	2022 წლის საკასო ხარჯი	შესრულების %
	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5 363 643	5 351 214	99,8
1	ბიოტექნოლოგიის ცენტრი	198 225	198 192	100
2	ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი	527 840	527 836	100
3	ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი	239 600	239 311	99,9
4	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი	485 150	484 808	99,9
5	ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი	1 244 460	1 244 273	100
6	ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი	417 615	415 102	99,4
7	საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი	228 120	228 076	100
8	სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო - ტექნოლოგიური ცენტრი	48 300	48 300	100
9	ინსტიტუტი ,,ტალღა"	95 900	95 662	99,8
10	ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი	481 672	475 550	98,7
11	კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი	322 745	322 027	99,8
12	მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი	161 460	161 448	100
13	არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი	423 345	423 066	99,9
14	ინსტიტუტი "ტექინფორმი"	251 811	250 906	99,6
15	კვანტური ფიზიკის და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი	237 400	236 657	99,7

2022 წელს „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამით“ მხოლოდ ერთ ინსტიტუტს ჰქონდა გათვალისწინებული „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი, რომელიც მოითხოვდა გადაუდებელ დაფინანსებას. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, მატერიალურ-ტექნკური ბაზის

გაუმჯობესებისათვის თანხები გათვალისწინებულ იქნა სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებში, რომლის ფარგლებშიც კონკურსში გამარჯვებულ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებს გამოეყოთ 1 495 679 ლარი, რომელიც აისახა პროგრამაში „ინფრასტრუქტურის განვითარება“.

წლის განმავლობაში სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მიერ განხორციელდა ბევრი საინტერესო შეხვედრა და აქტივობა, რომელთა ჩამონათვალი ასეთ სურათს იძლევა:

მოპოვებული ეროვნული პატენტების რაოდენობა შეადგენს 13 ერთეულს; სსიპ- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები - 31 ერთეულს; საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტები - 5 ერთეულს; სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს 204-ს; გამოქვეყნებული სტატიების/შრომების რაოდენობა- 383 ერთეულს, მათ შორის სტატიები იმპაქტ-ფაქტორინ ჟურნალში-151 ერთეულს; გამოცემული სახელმძღვანელოების, კრებულების და მონოგრაფიების რაოდენობა შეადგენს 46 ერთეულს; საქართველოს მეცნიერთა 300 ნაშრომი გამოქვეყნდა საერთაშორისო საინფორმაციო სისტემებში FAO AGRIS, ხოლო 1235 ქართული ტერმინის გამოქვეყნება მოხდა მრავალენოვან თაზაურუსში FAO AGROVOC; დაინერგა 7 კვლევის შედეგი.

4.3 ქვეპროგრამა „დამხმარე სამეცნიერო ერთეულები“(კოდი 01 04 03), მოიცავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო თვითდაფინანსების ცენტრებს. 2022 წლის გეგმა დაზუსტდა ფაქტიურად შესრულებული სახელშეკრულებო სამუშაოების შესაბამისად და განისაზღვრა 2 863 765 ლარით.

4.4 ქვეპროგრამა „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 01 04 04) მოიცავს მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვის, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში კვლევების გამოქვეყნების ხარჯებს და ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 000 ლარისა, განისაზღვრა 100 000 ლარით, შესრულებამ შეადგინა 95 973 ლარი, ანუ 96 %-ი.

5. პროგრამა „პროფესიული განათლება“ (პროგრამული კოდი 01 05)დაზუსტდა 1 526 064 ლარით, შესრულებამ შეადგინა 1 514 475 ლარი, რაც გეგმის შესრულების 99,2%-ია.

პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებას, რომლის მიზანია სწრაფად და მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების ოპერატიულად მომზადება. პროგრამის განმახორციელებელია ტრანსპორტისა და მექნიკის ინჟინერიის, სამთო-გეოლოგიური, ინფორმატიკის და მართვის სისტემების, ენერგეტიკის ფაკულტეტები, ტყიბულის პროფესიული სასწავლებელი და მოიცავს 23 პროგრამას.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის 2021

წლის 30 დეკემბრის N1139288 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაფინანსების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ პროექტს „ამფეთქებელი“, რომლის გეგმიური მაჩვენებელი(ნაშთის გათვალისწინებით) შეადგენს 114 000 ლარს, ხოლო ფაქტიური შესრულება- 85 500 ლარს, სხვაობა 28 500 ლარი ნაშთის სახით იქნა ასახული 2023 წლის ბიუჯეტში, რადგან ხელშეკრულების ვადა მომდევნო წელსაც მოიცავდა.

ასევე, პროგრამა მოიცავს სსიპ- „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-სა და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2021 წლის 21 დეკემბრის N320702-02 ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში პროფესიული პროგრამებისთვის აღჭურვილობის შეძენისათვის გამოყოფილ 69 749 ლარს.

6. პროგრამა „კულტურისა დ სპორტის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 06)განისაზღვრა 447 740 ლარით, შესრულება შეადგენს 447 732 ლარს, ანუ 100%-ს.

უნივერსიტეტს ჰყავს დიდი ტრადიციების მქონე კულტურისა და სპორტის კლუბები, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტები და ასპარეზობენ როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე გამართულ ღონისძიებებში. პროგრამა ითვალისწინებს რაგბის, ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის და სხვადასხვა სპორტული გუნდების ხელშეწყობას სპორტის განვითარებაში, ასევე სახალხო თეატრის „მოდი ნახე“-ს, ვაჟთა კაპელის, ქალთა გუნდის, ქორეოგრაფიული ანსამბლის „მერანი“ და სხვა ჯგუფებისათვის ხელშეწყობას, რაც გულისხმობს აღნიშნულ განყოფილებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებით უზრუნველყოფას.

7. პროგრამის „ინფრასტრუქტურის განვითარება“(პროგრამული კოდი 01 07) გეგმა განისაზღვრა 7 349 916 ლარით, შესრულებამ შეადგინა 6 931 798 ლარი, რაც გეგმის შესრულების 94,3%-ია.

პროგრამა მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობას და რეაბილიტაციას, ლაბორატორიების სხვადასხვა სახის ინვენტარით კეთილმოწყობას; უნივერსიტეტის ქსელური ინფრასტრუქტურის გაფართოებას, ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

პროგრამა მოიცავს ქვეპროგრამებს, კერძოდ:

7.1 „შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია“(კოდი 01 07 01)მოიცავს, როგორც ადმინისტრაციულ და საფაკულტეტო, ასევე კვლევითი ინსტიტუტებისა და კოლეჯების რეაბილიტაციასა და მიმდინარე რემონტს, კომპიუტერული ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობას. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-სა და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2022 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში სამ კვლევით ინსტიტუტში-„ბიოტექნოლოგიის“, „ჰიდროგეოლოგიისა“ და ინსტიტუტ „ტექინფორმში“, ასევე, დიდი ჯიხაიშის პროფესიულ კოლეჯში განხორციელდა

სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და სულ, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შესრულებამ შეადგინა 5 508 505 ლარი.

ქვეროგრამის ფარგლებში სსიპ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2022 წლის 03 ივნისის N320704-01 ხელშეკრულებით, უნივერსიტეტს მე-6 სასწავლო კორპუსის რეაბილიტაციისათვის გამოეყო დაფინანსება 1 723 787 ლარის ოდენობით, ხოლო 2022 წლის 26 ოქტომბრის N320704-084 ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის მთის მდგარდი განვითარების ფაკულტეტის სარემონტო სამუშაოებისათვის გამოეყო 158 114 ლარი. აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზოგიერთი სამუშაო, გადავადდა 2023 წლისთვის, გამოცხადებული ტენდერების პირობების შესაბამისად.

ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ტერიტორიაზე სასათბურე მეურნეობის მოწყობა და ადმინისტრაციული შენობისა და ფაკულტეტების ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობა, კერძოდ:

ადმინისტრაციის შენობაში სრულად შეიცვალა კომპიუტერული ქსელური ინფრასტრუქტურა, დამონტაჟდა 480 ახალი ქსელური წერტილი; კორპუსში განთავსდა 6 საკომუნიკაციო კარადა, რომელიც აღიჭურვა განახლებული აპარატურით; კორპუსის თითქმის ყველა ოთახი და დარბაზები დაიფარა უახლესი უსადენო ქსელით; კორპუსის შიდა და გარე პერიმეტრი დაიფარა სამეთვალყურეო კამერებით; კორპუსის უმეტეს ნაწილში დაყენდა სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა; ნიკო ნიკოლაძის დარბაზში განახლდა აუდიო, ვიდეო, სათარგმნი და ვიზუალიზაციის სისტემები;

უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსში განახლდა უკაბელო წვდომის მოწყობილობები (15 ერთეულამდე) და დაემატა ახალი დაფარვის ზონები (20-მდე ლოკაცია), განახლდა საკვანძო სერვერების elearning.gtu.ge, testing.gtu.ge, www.gtu.ge (მთავარი ვებგვერდის)ინფორმაციის არქივირების ახალი სისტემა, რაც უზრუნველყოფს სტუ-ში განთავსებული მონაცემების საიმედოობას და საჭიროების შემთხვევაში აღდგენის დროის შემცირებას; შესყიდულ იქნა ახალი სერვერული ინფრასტრუქტურა (სერვერი და მონაცემთა შემნახველი მოწყობილობა) - აღნიშნულ სერვერზე განთავსდა ტესტირების, სტუ-ს მთავარი გვერდის, ბუღალტერიის და სხვა კრიტიკული ინფრასტრუქტურის სერვერები, რომლის სარეზერვო სისტემა დამონტაჟდა უნივერსიტეტის მე-6 კორპუსში, რომელიც უზრუველყოფს მონაცემების ოპერატიულ რეზერვირებას და საჭიროების შემთხვევაში მის სწრაფ აღდგენას.

7.2 ქვეპროგრამა „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება“(კოდი 01 07 02)გეგმა განისაზღვრა 2 073 929 ლარით და მოიცავს სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის „ღია მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო პროდუქტიულობის, გამოცემული პუბლიკაციების და არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნას და

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით, რომელიც განისაზღვრა 427 500 ლარით, შესრულებამ შეადგინა 427 000 ლარი. „ღია მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტმა შექმნა ერთიანი სამეცნიერო პორტალი: https://institutes.gtu.ge/, სადაც განთავსდა როგორც სტუ-ს მეცნიერ-თანამშრომელთა სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველი სრული ინფორმაცია, ასევე სტუ-ს შემადგენლობაში შემავალი ყველა ინსტიტუტის მიერ განხორციელებული პროექტების და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც აამაღლებს მათ ცნობადობას, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში, სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 30 აგვისტოს N113 და 2022წლის 27 ივნისის N118 ბრძანების „სსიპ-უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ“ თანახმად, კონკურსში გამარჯვებულ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის(ნაშთის ჩათვლით) გამოყოფილ თანხას, რომელმაც შეადგინა 1 495 679 ლარი.

2022 წლის 26 ოქტომბრის N320704-084 ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის მთის მდგარდი განითარების ფაკულტეტს ავეჯის შესაძენად გამოეყო 106 750 ლარი.

ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტისთვის ფონდის „მოლიერი“ მიერ ჩარიცხული 50 000 ლარიდან, ლაბორატორიული მოწყობილობის შეძენისთვის გათვალისწინებული იყო 44 000 ლარი.

სულ, პროგრამების მიხედვით გადასახდელების შესრულება, საკუთარი სახსრების ჭრილში, გვაძლევს ასეთ სურათს:

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	გადასახდელების 2022წლის გეგმა	გადასახდელების საკასო შესრულება	სხვაობა საკასო შესრულებასა და გეგმას შორს	შესრულების %
01 01	**უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება**	13 623 112	13 473 983	-149 129	98,9
01 02	**უმაღლესი განათლება(ფაკულტეტები)**	28 974 006	28 909 131	-64 875	99,8
01 03	**სტუდენტთა ხელშეწყობა**	350 211	350 211	0	100,0
01 04	**მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა**	5 471 880	4 706 428	-765 452	86,0
01 05	**პროფესიული განათლება**	1 526 064	1 514 475	-11 589	99,2
01 06	**კულტურისა და სპორტის ხელშეწყობა**	447 740	447 732	-8,0	100,0

01 07	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	7 349 916	6 931 298	-418 618	94,3
	სულ	**57 742 929**	**56 333 258**	-1 409 671	97,6

პროგრამების გეგმის შესრულების საშუალო მაჩვენებელი 98,9 %-ა, სადაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „სტუდენტთა ხელშეწყობის“ და „კულტურისა და სპორტის ხელშეწყობის“ პროგრამაზე მოდის, ხოლო ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მთლიანი გადასახდელების მიმართ პროგრამაზე „უმაღლესი განათლება“(ფაკულტეტები-28 909 131 ლარი).



ფინანსური მდგომარეობის შესწავლის მეტი სიცხადისათვის განვიხილოთ 2022 წლის ბიუჯეტი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით საკუთარი სახსრების ჭრილში, რომლის გეგმა პროგრამების მიხედვით განისაზღვრა 57 742 929 ლარით, შესრულება შეადგენს 56 333 258 ლარს, რაც გეგმის შესრულების 97,6 %-ია, კერძოდ:

N	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %

	სულ ასიგნება	**57 742 929**	**56 333 258**	**-1 409 671**	**97,6**
	ხარჯები	**53 671 313**	**53 033 390**	**-637 923**	**98,8**
I	**შრომის ანაზღაურება**	29 418 755	29 381 367	**-37 388**	**99,9**
II	**საქონელი და მომსახურება სულ, მ.შ.**	**21 012 627**	**20 573 021**	**-439 606**	**97,9**
1	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	11 468 013	11 398 926	**-69 087**	**99,4**
2	მივლინება	763 687	628 377	**-135 310**	**82,3**
3	ოფისის ხარჯები; მათ შორის	7 323 552	7 208 902	**-114 650**	**98,4**
3.1.	კომუნალური ხარჯები	2 134 458	2 090 635	**-43 823**	**98,0**
3.2.	შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი	4 331 191	4 331 191	**0**	**100,0**
3.3.	სხვა დანარჩენი ოფისის ხარჯები	885 152	787 076	**-98 076**	**88,9**
4	წარმომადგენლობითი ხარჯები	152 244	149 572	**-2 672**	**98,2**
5	სამედიცინო ხარჯები	1 700	1 700	**0**	**100,00**
6	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	66 727	66 649	**-78**	**99,9**
7	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	181 426	166 695	**-14 731**	**91,9**
8	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	1 055 278	952 200	**-103 078**	**90,2**
III	**გრანტები**	**20 000**	**16 071**	**-3 929**	**80,4**
IV	**სოციალური უზრუნველყოფა**	**17 000**	**16 935**	**-65**	**99,6**
V	**სხვა ხარჯები სულ, მ.შ.**	**3 202 931**	**3 045 997**	**-156 934**	**95,1**
	საგადასახადო ვალდებულებები და მოსაკრებლები	301 020	301 020	**0**	**100,0**
	ემერიტუსის ანაზღაურება	1 092 185	1 091 821	**-364**	**100,0**
	ავსტრიის ბანკის მარჟა	211 155	211 155	**0**	**100,00**
	საგრანტო დაფინანსება	861 296	729 660	**-131 636**	**84,7**
	პერსონალის დაზღვევა	552 122	542 009	**-10 113**	**98,2**
	სხვა დანარჩენი ხარჯი (მ.შ სტუდენტების დაფინანსება; ავტომანქან. დაზღვევა)	185 153	170 332	**-14 821**	**92,0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**4 071 616**	**3 299 868**	**-771 748**	**81,0**
	მ.შ. არაწარმოებული აქტივები	179 216	179 216	**0**	**100,0**

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, გადასახდელების გეგმა შესრულებულია მაღალი პროცენტით, სრულად და დროულად იქნა შესრულებული ვალდებულებები თანამშრომელთა შრომის და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების ნაწილში. შეუფერხებლად მოხდა კომუნალური და საგადასახადო ვალდებულებების შესრულება,

თანამშრომელთა სადაზღვევო პრემიის დაფინანსება, საგნობრივი აკრედიტაციის საბჭოს დასკვნის შესაბმისად მატერიალურ-ტენიკური ბაზის გაუმჯობესება, ყველა სასწავლო პროგრამის აკრედიტაციის, რეაკრედიტაციის, ანგარიში/მონიტორინგის საფასურის სრულად დაფინანსება. შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ და „გრანტების“ მუხლების გადასახდელები. „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გათვალისწინებული გადასახდელების შესრულების დაბალი მაჩვენებელი აიხსნება ტენდერების ჩაშლით, ან ტენდერების პირობების შესაბამისად განსაზღვრული ვალდებულებების 2023 წელში გადავადებით.

საანგარიშო პერიოდში, 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით, გამოცემულ იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს 3 დადგენილება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 9 განკარგულება, სადაც ასახულ იქნა, როგორც საბიუჯეტო მაჩვენებლების, ასევე პროგრამებსა და ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებები. განკარგულებით ასახული საბიუჯეტო ზრდის მაჩვენებლებმა წლის განმავლობაში, შეადგინა 12 341 831 ლარი, საიდანაც საბიუჯეტო სახსრების ზრდა შეადგენს 6 290 967 ლარს, საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტები-2 348 586 ლარს, მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი სუბსიდია-478 583 ლარს, ხოლო საკუთარი სახსრები, სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების, სსიპ-„საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს სახსრების გათვალისწინებით, შეადგენს 3 223 695 ლარს. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებამ შეადგინა 1 634 630 ლარი, ხოლო პროგრამებს შორის განხორციელებულმა ცვლილებამ-1 408 865 ლარი, რაც სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის სენატის მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულ პროგრამებსა და ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განსახორციელებელ ცვლილებათა დადგენილ ქვოტას.